განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით

SEU
GEORGIAN NATIONAL UNIVERSITY

28-29 სექტემბერი, 2017

თბილისი
2017

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	208215509
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი 02
სწავლების ენა	ინგლისური
კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული/ახალი)	ახალი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი ორგანიზაცია / ქვეყანა)	ბნ. ჰაინც-ულრიხ შმიდტი, საერთაშორისო ბიზნეს ადმინისტრირების აკრედიტაციის ფონდი (FIBAA), გერმანია
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი ორგანიზაცია / ქვეყანა)	ბნ. პაველ ზუფანი, მენდელის უნივერსიტეტი ბრნოში, ჩეხეთის რესპუბლიკა
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი ორგანიზაცია / ქვეყანა)	ბნ. გიორგი გაგნიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი ორგანიზაცია / ქვეყანა)	ბნ. თორნიკე გურული, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო / PSP ფარმა
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი ორგანიზაცია / ქვეყანა)	ქნ. ანა გვრიტიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ექსპერტთა პანელის წევრები აფასებენ უნივერსიტეტის ძალისხმევას და სურვილს გააფართოვონ პროგრამების ინტერნაციონალიზაცია და მიიჩნევენ, რომ ეს პროგრამა სწორი მიმართულებით არის ფოკუსირებული. მიუხედავად პროგრამის შინაარსის მიმართ გარკვეული მოსაზრებებისა, მიიჩნევა რომ პროგრამა შეესაბამება არსებულ კრიტერიუმებს.

დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის მოკლე მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. არსებული ინფრასტრუქტურა და გარემო იძლეოდა ეფექტურად მუშაობის საშუალებას. ზოგიერთი შეხვედრა სრულად არ შეესაბამებოდა ექსპერტთა ჯგუფის მოთხოვნებს - სტუდენტების უმეტესობა არ საუბრობდა ინგლისურ ენაზე, კურსდამთავრებულთა უმეტესობა კვლავ კავშირში იყო უნივერსიტეტთან (სწავლობდნენ სამაგისტრო ან სხვა საბაკალავრო პროგრამაზე), პერსონალის ნაწილი არ იყო წარმოდგენილი. თუმცა, ვიზიტი გარკვეულწილად პროდუქტიული იყო ვინაიდან ხელშეწყობილი იყო დაწესებულების მხრიდან დამატებითი დოკუმენტაციის და ინფორმაციის მოწოდებით .

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

ვიზიტის მიმდინარეობისას არ იქნა გამოვლენილი პროგრამის შეუსაბამობა აკრედიტაციის სტანდარტებთან, შესაბამისად პროგრამა აკმაყოფილებდა არსებულ სტანდარტებს.

რეკომენდაციების მიმოხილვა

- სტუდენტთა დატვირთვის კალკულაცია უნდა ასახავდეს სხვადასხვა კურსების განსხვავებულ მოთხოვნებს.
- აუდიტის ერთერთი კურსი ორიდან და ფინანსური ანგარიშგება საბანკო ინდუსტრიაში შესაძლებელია ჩანაცვლდეს ბიზნეს სამართლით და ICT-დაკავშირებული კურსით, როგორც არჩევითი.
- არჩევითი კურსების რაოდენობა ხელახლა უნდა გადაიხედოს, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტთა მოთხოვნების რეალიზაციას.
- უნდა მოხდეს კურსის აღწერილობის ინდივიდუალიზაცია სწავლების მეთოდების და შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.
- გადასახედია განსაზღვრული წინაპირობები (მაგ. შუალედურ მიკროეკონომიკას წინაპირობად აქვს შუალედური მიკროეკონომიკა: უფრო ლოგიკური იქნება, თუ ეს წინაპირობა შეიცვლება ბიზნეს სტატისტიკა 2-ით, რადგან მთავარი სახელმძღვანელო

არის ეკონომეტრიკა; შუალედურ მიკროეკონომიკას წინაპირობად აქვს მიკროეკონომიკის პრინციპები - შესაძლებელია ჩანაცვლდეს მიკროეკონომიკის პრინციპებით).

- აკადემიური პერსონალის აყვანისას უფრო ყურადღებით უნდა იყოს გათვალისწინებული კანდიდატის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება.
- გააფართოვდეს კურსებზე გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, რომელიც მხოლოდ ერთ სათაურზე მიუთითებს.
- ვებ-გვერდზე უზრუნველყავით ხელმისაწვდომი სამეცნიერო მონაცემთა ბაზების ჩამონათვალი.
- უზრუნველყავით ვებ-გვერდის სრული ინგლისური ვერსია.
- გააფართოვეთ სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი ლიტერატურა თანამედროვე პუბლიკაციებით, სანამ პროგრამა დაიწყება.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- უფრო კონკრეტულად შეისწავლეთ კურსდამთავრებულთა "მიზნობრივი" დასაქმების პერსპექტივა
- მოახდინეთ შრომის ბაზრის მოთხოვნების შესწავლა რეგულარულად
- შეცვალეთ კურსის სახელი „ საერთაშორისო მარკეტინგი “ „ მარკეტინგის პრინციპებზე “; შეცვალეთ კურსის სახელი „ მარკეტინგის მეთოდები “ „ მარკეტინგის კვლევებით “ (და ამით გახადეთ ის უფრო ორიენტირებული კვლევის მეთოდებზე);
- შეცვალეთ კურსის აღწერილობების ფორმულირება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ფორმულირების შესაბამისად.
- პროგრამის სწავლების შედეგები ხელახლა უნდა განისაზღვროს, რომ ისინი იყოს უფრო სპეციფიკური და იძლეოდეს უკეთესი მიზნების დასახვის საშუალებას.
- განსაზღვრეთ პოტენციური დამსაქმებლები და უზრუნველყავით მათი მუდმივი უკუკავშირი როგორც პროგრამაზე ასევე სტუდენტების მიმართ.
- უზრუნველყავით მთავარი დაინტერესებული მხარეების პროგრამის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის საკმარისი მტკიცებულება, მათი უკუკავშირის ჩათვლით, კერძოდ სტუდენტებთან მიმართებითაც.
- რეგულარულად უზრუნველყავით სტუდენტები ინფორმაციით მათ უკუკავშირზე რეაგირებასთან დაკავშირებით.
- ჩართეთ სტუდენტები შესაბამის კომიტეტებში, რათა მონაწილეობა მიიღონ ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების პროცედურების დაგემგვასა და შეფასებაში.
- ჩამოაყალიბეთ მოწვეული სასწავლო პერსონალის აკადემიურ თანამდებობაზე აყვანის უფრო გამჭვირვალე პროცედურა

საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამა ჯერ არ განხორციელებულა, საუკეთესო პრაქტიკა ჯერ არ გამოვლენილა.

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა ან/და პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საკითხი არა რელევანტურია, რადგან პროგრამა ჯერ არ განხორციელებულა

შეფასება

- o შეესაბამება მოთხოვნებს
- ▯ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს
- O არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლების შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან**

1.1 პროგრამის მიზნები შეესაბამება დაწესებულების მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშში პროგრამის მიზნები განსაზღვრულია ზოგად დონეზე რაც მისაღებია. მიზნები მიღწევადია და ასახავენ დაწესებულების ამოცანას, თუმცა კავშირი ზოგადია. შრომის ბაზრის მოთხოვნებიასახულია მაგრამ მკაფიო მტკიცებულების გარეშე. შრომის ბაზრის მოთხოვნების მონიტორინგი განხორციელებულია უფრო არაფორმალურ დონეზე, საკმარისი დასაბუთების გარეშე (პროცესის რეგულარულობა, ჩანაწერების წარმოება, შედეგებზე მუდმივი რეაგირება – ეს საკითხები არ არის განსაზღვრული თვითშეფასების ანგარიშში და დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ კვლევა ძირითადად ხორციელდება არაფორმალურ დონეზე, ნაწილობრივ აისახება საბჭოს შეხვედრების ოქმებში). საბოლოო ჯამში, შესაძლებელია გაუმჯობესება, მაგრამ დიდად საჭირო არ არის, რადგან პროგრამის მიზნები, რეალურად, მკაფიოდაა განსაზღვრული და მისაღები ფორმით ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში უზრუნველყოფს ინფორმაციას პროგრამის მიზნების შესახებ და მათ კავშირს ბიზნესის ამოცანასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან o გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და საბაკალავრო პროგრამის ჯგუფის თვითშეფასება
შეფასება ▯ შეესაბამება მოთხოვნებს ☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: o უფრო კონკრეტულად შეისწავლეთ და განსაზღვრეთ კურსდამთავრებულების სამომავლო " მიზნობრივი " დასაქმება. o მოახდინეთ შრომის ბაზრის მოთხოვნების ფორმულირება რეგულარულად.
რეკომენდაციები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

1.2 პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვა.) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო შედეგების მიღწევა რეალისტურია. თუმცა, ზოგიერთი კურსი ასევე მოიცავს ლიტერატურის მხოლოდ დასახელებას.

საათები გადანაწილებულია უნიფიცირებულად: კურსის შიდა დატვირთვის გადანაწილება ერთი და იგივეა ყველა კურსისათვის (მათ შორის მაგალითად პრაქტიკული პროექტისათვის). ეს არარეალისტურია და არ შეესაბამება სხვადასხვა კურსების განსხვავებულ მოთხოვნებს - რადგან, მაგალითად მათემატიკაში ან სტატისტიკაში უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს კონტაქტის საათებს, ხოლო ისეთი კურსებში როგორიცაა საერთაშორისო ბიზნესი ან საერთაშორისო მარკეტინგი შესაძლებელია იყოს დამოუკიდებელი მუშაობის უფრო მეტი წილი.

უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე გამონაკლისი არსებობს, მაგ. კორპორატიული ფინანსები, სადაც სწავლების შედეგები არ არის განსაზღვრული სტანდარტული სტრუქტურის სახით, არ შეესაბამება კურსის შინაარსს (მაგ. შეფასების მეთოდები აღნიშნულია კურსის აღწერილობაში ბიუჯეტირების თემაში, შერეულია აქციების შეფასებასთან და ეს ყველაფერი ახსნილი უნდა იქნას სტუდენტებისათვის ერთი საკონტაქტო საათის განმავლობაში).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სასწავლო გეგმა და კურსის აღწერილობა
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალსა და ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან

შეფასება

- ☐ შეესაბამება მოთხოვნებს
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს
- ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- შეცვალეთ კურსის დასახელება „ საერთაშორისო მარკეტინგი " „ მარკეტინგის პრინციპებით "; შეცვალეთ კურსის დასახელება „ მარკეტინგის მეთოდები " „ მარკეტინგის კვლევებით " (გახადეთ ის უფრო ბაზრის კვლევის მეთოდებზე ორიენტირებული).

რეკომენდაციები:

- სტუდენტთა დატვირთვის გაანგარიშება უნდა ასახავდეს სხვადასხვა კურსების განსხვავებულ მოთხოვნებს
- ერთერთი კურსი - აუდიტი ან ანგარიშგება საბანკო ინდუსტრიაში უნდა ჩანაცვლდეს ბიზნეს სამართლით და ან ICT დაკავშირებული კურსით არჩევითი კურსის სახით
- არჩევითი კურსების რაოდენობა შესაძლებელია გადახედილ იქნას, რათა ხელი შეუწყოს სტუდენტთა მოთხოვნების რეალიზაციას
- განაგრძეთ კურსის აღწერილობის ინდივიდუალიზაცია.
- გააფართოვეთ კურსებში გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი, რომელიც მხოლოდ ერთ სათაურზე მიუთითებს

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

1.3 პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის სათანადო დონით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

კურსის მიზნები განსაზღვრულია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უფრო ზოგადია და გარკვეულწილად ყოველთვის არ ასახავენ სასწავლო პროცესის საფეხურებს/პროგრესს, მაგ. ბიზნეს ინგლისურის კურსები 1-4.

კურსის შედეგების აღწერილობის ფორმულირება ყოველთვის არ შეესაბამება ეროვნული სტანდარტების აღწერილობის ფორმულირებას (ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მუხლი 3, პარაგრაფი 1), მაგრამ რაც შეეხება საფეხურებს, განსხვავება არ არის

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის სასწავლო გეგმა და კურსის აღწერილობა
- გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან,
- აკადემიურ პერსონალსა და ბიზნეს ადმინისტრირების პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან.

შეფასება

- ☐ შეესაბამება მოთხოვნებს
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს
- ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- შეცვალეთ კურსის აღწერილობის ფორმულირება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს ფორმულირების შესაბამისად.

რეკომენდაციები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

1.4 პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (განათლების შემდგომ საფეხურზე) დასაქმების ბაზარზე

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის შესაბამისად პროგრამის სასწავლო მიზნები უნდა მოიცავდეს ICT ცოდნას, მაგრამ არცერთი კონკრეტული კურსი არ მოიცავს ამ სფეროს. თვითშეფასების ანგარიში არ ავლენს სხვა ქართულ სასწავლო დაწესებულებებში არსებული კონკურენტი სასწავლო პროგრამების შესახებ რაიმე ცოდნას. მაგრამ ზოგადად და ექსპერტთა გამოცდილების თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო და დასაქმების ბაზრებზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ამ სტანდარტის შენიშვნები, რაც შესულია თვითშეფასების ანგარიშში, ასევე შემაჯამებელი SWOT ანალიზი არ ასახავენ კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის შეფასების რაიმე მექანიზმს, მაგრამ როგორც ჩანს, ეს უზრუნველყოფილია.
- კონკურენტი პროგრამების შესახებ საუბარი შედგა აკრედიტაციის ვიზიტის დროს.

შეფასება

- ☒ შეესაბამება მოთხოვნებს
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს
- ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- პროგრამის სწავლის შედეგები ხელახლა უნდა განისაზღვროს, რომ იყოს უფრო სპეციფიკური და იძლეოდეს უკეთესი მიზნობრიობის საშუალებას.
- განსაზღვრეთ ძირითადი კონკურენტები და მათი კურსდამთავრებულების / პროგრამების უპირატესობები პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.

რეკომენდაციები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

1.5 პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისა და პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებელი, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) მონაწილეობის მექანიზმი შემუშავებული და ხორციელდება

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი მიმოხილვა და ანალიზი

არსებობს დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობის ჩამოყალიბებული მექანიზმი (სტანდარტი 5), მაგრამ როგორც ჩანს არ ხორციელდება დაინტერესებული მხარეებისგან (დამსაქმებლისგან და სტუდენტებისაგან) უკუკავშირის ფორმალური და რეგულარული მონიტორინგი. ზოგიერთ კურსს უძღვება დამსაქმებელი, რომელსაც შეუძლია, გარკვეულწილად, მოახდინოს გავლენა პროგრამის შემდგომ განვითარებაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში აღნიშნავს არაფორმალურ მექანიზმებს, მაგრამ არ აღწერს რაიმე ხელშესახებ ჩანაწერს, გარდა მითითებებისა არსებულ კითხვარებზე.
- უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სხვა დოკუმენტები (სეუ-ს დებულება, მუხლი 13 – ხარისხის მართვა).
- გასაუბრებები აკრედიტაციის ვიზიტის დროს.

შეფასება

- ☒ შეესაბამება მოთხოვნებს
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს
- ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

უზრუნველყავით მთავარი დაინტერესებული მხარეების პროგრამის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის საკმარისი მტკიცებულება, მათთან უკუკავშირის ჩათვლით, კერძოდ სტუდენტებთან.

რეკომენდაციები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შეესაბამება მოთხოვნებს	ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	არ შეესაბამება მოთხოვნებს
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლების შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის თვითშეფასების ადეკვატურობა

2.1 პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარების და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი მიმოხილვა და ანალიზი

პირი, რომელმაც მიიღო ზოგადი განათლება, შესაძლებელია გახდეს ბიზნეს ადმინისტრირების ბაკალავრიატის სტუდენტი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან პირი, რომელიც აკმაყოფილებს ბაკალავრიატის პროგრამის მოთხოვნებს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე ან პირი, რომელიც ჩარიცხულ იქნა მობილობით კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად. რადგან ეს არის ინგლისური ენის პროგრამა, კანდიდატთა მიღების წინაპირობა არის ინგლისური ენის ცოდნა და შესაბამისად, ინგლისური ენის ტესტის ჩაბარებისათვის გადასალახი ბარიერი აწეულია.

ჩარიცხვის გამჭვირვალეობა უზრუნველყოფილია ხელმისაწვდომობით დაინტერესებული მხარეებისათვის მაგრამ მხოლოდ ქართულ ენაზე. რელევანტური ინფორმაცია წარმოდგენილია აკადემიურ პროგრამაში. ის ასევე ხელმისაწვდომია და განთავსებულია უნივერსიტეტის ქართულ ვებ-გვერდზე, წარმოდგენილია აკადემიური პროგრამების კატალოგშიც. ინფორმაცია მიზნების, შედეგების, შეფასების სისტემების, პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ განთავსებულია უნივერსიტეტის ქართულ ვებ-გვერდზე. დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ მიიღონ კონსულტაციები საკონტაქტო პირებისაგან, რომლებიც აღნიშნული არიან პროგრამის კატალოგში.

პროგრამაში ჩარიცხვის წინაპირობები ასახავენ საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილ მიმდინარე ცვლილებებს

მტკიცებულებები/ინდიკატორები

O აკადემიური პროგრამა: ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო
O სეუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

შეფასება

☐ შეესაბამება მოთხოვნებს
☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს
☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

რეკომენდაციები:

არავითარი

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

2.2	პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი მიმოხილვაა და ანალიზი

პროგრამის დანერგვის პროცესში გამოყენებული სხვადასხვა მეთოდები უზრუნველყოფენ, რომ კურსდამთავრებულები/სტუდენტები ფლობდნენ ზოგად, ასევე საგანთან დაკავშირებულ ცოდნას და ზოგად უნარებსა და ღირებულებებს. გამოყენებული იქნება სხვადასხვა მეთოდები: კერძოდ ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, დისკუსია/დებატები, კოლაბორაციული მეთოდი, პრობლემებზე დაფუძნებული პრაქტიკა, კოოპერატიული მეთოდი, ვერტიკალური მეთოდი, საქმის შესწავლა, ბრეინ შტორმინგი, ქმედებაზე ორიენტირებული და ელექტრონული სწავლის მეთოდები. ლექტორებმა უნდა აირჩიონ ადეკვატური სასწავლო მეთოდები ამ ჩამონათვალიდან. მაგრამ ჩვეულებრივ, არ არსებობს სტანდარტული შაბლონი და კურსის თითოეული აღწერილობა განსაზღვრავს შესაბამის სათანადო და გამოყენებით სასწავლო მეთოდებს, ისე რომ სტუდენტებმა წინასწარ იცოდნენ ამის შესახებ.

პროგრამის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, თითოეულ კომპონენტში გამოყენებული სწავლების/სწავლის მეთოდები და საშუალებები განსაზღვრავენ ამ კომპონენტის მიერ გათვალისწინებული სწავლების შედეგების ეფექტურ მიღწევას. ეს გათვალისწინებულია სილაბუსში ამ კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ლექტორის მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o აკადემიური პროგრამა: ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო
- O სასწავლო კურსის სილაბუსები
- o გასაუბრებები აკადემიურ პერსონალთან

შეფასება

- ☐ შეესაბამება მოთხოვნებს
- ▯ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს
- ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

რეკომენდაციები:

- o განაგრძეთ კურსის აღწერილობის ინდივიდუალიზაცია სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

2.3 პროგრამაში შემავალი კომპონენტების თანმიმდევრობა და შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურია

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კომპონენტების თანმიმდევრობა ლოგიკურია.

ზოგიერთი ძირითადი კურსის წინაპირობა კარგადაა განსაზღვრული, თუმცა, ზოგ კურსებზე წინაპირობები შესაძლებელია უფრო დაკონკრეტდეს, რათა უკეთესად შეესაბამებოდეს კურსის მიზნებს და სწავლის დაგეგმილ შედეგებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- o აკადემიური პროგრამა: ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო
- O სასწავლო კურსის სილაბუსები
- o გასაუბრებები აკადემიურ პერსონალთან

შეფასება

- ☐ შეესაბამება მოთხოვნებს
- ▯ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს
- ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

რეკომენდაციები:

- o გადახედეთ განსაზღვრულ წინაპირობებს (მაგ. შუალედურ მიკროეკონომიკას წინაპირობად აქვს შუალედური მიკროეკონომიკა: უფრო ლოგიკური იქნება, თუ ეს წინაპირობა შეიცვლება ბიზნეს სტატისტიკა 2-ით, რადგან მთავარი სახელმძღვანელო არის ეკონომეტრიკა; შუალედურ მიკროეკონომიკას წინაპირობად აქვს მიკროეკონომიკის პრინციპები - შესაძლებელია ჩანაცვლდეს მიკროეკონომიკის პრინციპებით).

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევა და/ან პროგრესი (ეხება მხოლოდ არსებულ პროგრამებს)

არა რელევანტური

2.4 სტუდენტის შეფასების მეთოდები საგანმანათლებლო პროგრამის თითოეულ კომპონენტში უზრუნველყოფს ამავე კომპონენტით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დასტურდება შეფასების შედეგებით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული პროგრამის კომპონენტის შეფასების მეთოდები სტანდარტიზებულია. ისინი მოიცავს სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შესაბამის შესაძლებლობებს. მაგრამ ჩვეულებრივ, არ არსებობს სტანდარტიზებული შაბლონი, არამედ თითოეული კურსის აღწერილობა განსაზღვრავს გამოყენებული მეთოდებს, ისე რომ სტუდენტებმა იცოდნენ აღნიშნულის შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o აკადემიური პროგრამა: ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო კურსის აღწერილობა o სეუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი o გასაუბრებები აკადემიურ პერსონალთან
შეფასება ☐ შეესაბამება მოთხოვნებს ☒ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
რეკომენდაციები: o განაგრძეთ კურსის აღწერილობის ინდივიდუალიზაცია სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

2.5 სტუდენტის ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესებების გზების შესახებ
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტთა ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები. პროგრამის კონკრეტული კომპონენტის შეფასების კრიტერიუმები შეესაბამება ამ კომპონენტის მიერ განსაზღვრული სასწავლო პროცესის შედეგებს რაც ასახულია სილაბუსში. შეფასების სისტემა და კრიტერიუმები ცნობილია სტუდენტებისათვის და სხვა დაინტერესებული პირებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ აკადემიური პროგრამა: ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო ○ კურსის აღწერილობები ○ სეუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი ○ შეუძლებელი იყო სტუდენტებისაგან მტკიცებულების მოპოვება, რადგან პროგრამა ჯერ არ დაწყებულა.
შეფასება ☒ შეესაბამება მოთხოვნებს ☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
რეკომენდაციები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შეესაბამება მოთხოვნებს	ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

3.1 სტუდენტები იღებენ თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციას, კონსულტაციასა და დახმარებას

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტები მიიღებენ შესაბამის კონსულტაციებს ინდივიდუალური მოთხოვნის შესაბამისად, ასევე ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, როგორც აღწერილია თვითშეფასების ანგარიშში და ახსნილია კურსის აღწერილობაში. ასევე, სასწავლო და ადმინისტრაციული პერსონალი დაპირებას იძლევა, რომ უზრუნველყოფენ სტუდენტებს შესაბამისი შესაძლებლობებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

თვით შეფასების ანგარიში, კურსის აღწერილობები
SEU სეუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
გასაუბრებები სასწავლო და ადმინისტრაციულ პერსონალთან

შეფასება

- ☐ შეესაბამება მოთხოვნებს
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს
- ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

რეკომენდაციები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

3.2 დაწესებულების აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სტუდენტთან ინდივიდუალური მუშაობა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი მიმოხილვა და ანალიზი კონსულტაციის საათები შედის კურსის აღწერილობაში და ისინი ასევე წარმოადგენენ სასწავლო პერსონალის სამუშაო კონტრაქტების ნაწილს. უკვე არსებული ქართული პროგრამების სტუდენტები მიუთითებენ სეუ-ს ონლაინ პლატფორმის მეშვეობით ლექტორებთან კომუნიკაციის ხელმისაწვდომობაზე
მტკიცებულებები/ინდიკატორები o კურსის აღწერილობები o გასაუბრებები უკვე არსებული ქართული პროგრამების სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან o აკადემიური პერსონალის სამუშაო კონტრაქტები
შეფასება ☒ შეესაბამება მოთხოვნებს ☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
რეკომენდაციები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

3.3	დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტის ჩართვას კვლევითი პროექტების განხორციელებაში, პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი მიმოხილვა და ანალიზი

წარმოდგენილია სტუდენტთა ჩართულობა კვლევით პროექტებში და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელ აქტივობებში, რაც მოიცავს პრაქტიკული უნარების განვითარების კომპონენტებს. მიუხედავად ყველაფრისა, სტუდენტების აქტივობები შესაძლებელია იყოს შეზღუდული იმ მიზეზით რომ სტუდენტთა უმეტესობას ექნება სამსახური და სავარაუდოდ არ ექნებათ საკმარისი დრო, რომ გამოიყენოს ყველა შეთავაზებული შესაძლებლობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრებები უკვე არსებული ქართული პროგრამების აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან

შეფასება

- ☒ შეესაბამება მოთხოვნებს
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს
- ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

რეკომენდაციები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

3.4 დაწესებულება ორიენტირებულია სწავლების, სამეცნიერო მუშაობისა და კურსდამთავრებულთა დასაქმებულობის ინტერნაციონალიზაციაზე
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი მიმოხილვა და ანალიზი კურსდამთავრებულთა დასაქმების გათვალისწინებით, ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს ამ პროგრამის შემუშავების მთავარ მიზეზს. ეს მოიცავს ინტერნაციონალიზაციაზე ორიენტირებულ შინაარსსა და სწავლების შედეგებს კურსის აღწერილობებში. სეუ მიზნად ისახავს, რომ დაიწყოს გაცვლითი პროგრამები (ერასმუს+) და გააფორმოს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შესაბამის პარტნიორებთან. სეუ სტუდენტებს სთავაზობს შესაძლებლობებს, რომ მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებში და შესაძლებლობის ფარგლებში საერთაშორისო სტაჟირებაში. მიუხედავად ყველაფრისა, თუმცა ზოგი ლექტორი ინტერნაციონალიზაციას უკავშირებს მხოლოდ ინგლისური ენის შესწავლას და ცოდნას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o თვითშეფასების ანგარიში o სეუ დებულება, მუხლი 13 o გასაუბრებები ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალსა და უკვე არსებული ქართული პროგრამების სტუდენტებთან
შეფასება ☒ შეესაბამება მოთხოვნებს ☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
რეკომენდაციები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შეესაბამება მოთხოვნებს	ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სტუდენტის მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X		

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

4.1 დაწესებულების ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი მიმოხილვა და ანალიზი ტექნიკური აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა ხელს შეუწყობს პროგრამის მიზნების მიღწევას. უნივერსიტეტი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისათვის. ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასები ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისათვის. არსებული წიგნების ფონდი შეესაბამება აკადემიური კურსის პროგრამაში მითითებულ ლიტერატურას. სეუ-ში ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა (აკადემიური ინვენტარი, უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასები დაკავშირებული ინტერნეტთან, შეუზღუდავი ელექტრომომარაგება, გათბობის სისტემა, ტუალეტები) ხელს უწყობენ პროგრამის მიერ განსაზღვრული მიზნების მიღწევას. დაწესებულებამ ხელი მოაწერა პერიოდულ პუბლიკაციებს. იმისათვის, რომ მოხდეს აკადემიური პროგრამების დანერგვა, უნივერსიტეტმა განავითარა სტრატეგია რაც მოიცავს სტრატეგიულ მიზნებს და ამოცანებს, დეტალურ სამოქმედო გეგმას, სამოქმედო გეგმის მონიტორინგსა და ანალიზს და ა.შ. განვითარების მიზნით. უნივერსიტეტის რესურსების სტრატეგიის განვითარება მოიცავს: უნივერსიტეტში ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, აკადემიური პერსონალის განვითარებას და ადამიანურ რესურსებს. უნივერსიტეტი აშენებს ძალიან შთამბეჭდავ დამატებით კამპუსს, რომელიც დასრულდება 2018 წელს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სეუ-ს სტრატეგია o მატერიალური ბაზის დათვალიერება o ინტერვიუები ვიზიტის განმავლობაში.
შეფასება ☐ შეესაბამება მოთხოვნებს ☒ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს
რჩევები პროგრამის განვითარების მიზნით:
რეკომენდაციები: o გაამდიდრეთ ლიტერატურა თანამედროვე გამოცემებით, სანამ პროგრამა დაიწყება
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

4.2 კომპონენტის განმახორციელებელი პირი თავად ფლობს შეთავაზებული კომპონენტის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც დგინდება აკადემიური პერსონალის შემთხვევაში ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომით (სახელოვნებო მიმართულებებში შემოქმედებითი პროექტებით), რომელიც ადასტურებს შესაბამის დარგში მის კომპეტენტურობას; შეიძლება დადასტურდეს პრაქტიკული გამოცდილებით

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი მიმოხილვა და ანალიზი

აკადემიური პერსონალი უმეტესად ახალგაზრდა პროფესიონალებისაგან შედგება. ორ მათგანს არ აქვს მოქმედი მაგისტრის ხარისხის დიპლომი. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, რომელიც ჩართულია პროგრამის განხორციელებაში გააჩნია საკმარისი კომპეტენცია, რომ უზრუნველყონ შესაბამისი პროგრამის კომპონენტში შესული სწავლების შედეგები. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დადასტურებულია ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოცემული აკადემიური ნაშრომებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- აკადემიური პერსონალის CV-ები
- გასაუბრებები ვიზიტისას.
- სეუს-ს პირადი განვითარების სტრატეგია

შეფასება

☐ შეესაბამება მოთხოვნებს
☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს
☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- მოწვეული აკადემიური პერსონალის არჩევის უფრო გამჭვირვალე პროცედურის ჩამოყალიბება

რეკომენდაციები:

- აკადემიური პერსონალის არჩევისას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს კანდიდატების კვალიფიკაციას.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

4.3 პროგრამის განხორციელება ხელშეწყობილია სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის განხორციელებისას ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალია ჩართული, კერძოდ: რექტორი, ვიცე-რექტორი, HR, საერთაშორისო ოფისი, საბაკალავრო პროგრამის მეთვალყურეები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. უნივერსიტეტის საქმიანობა მიმართულია მის მიერ დასახული ამოცანის განხორციელებისაკენ. ამ მიზნის მისაღწევად უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა მისი სტრუქტურული ქვედანაყოფების მკაფიოდ-განსაზღვრული სტრუქტურა და ფუნქციები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ სასწავლო პროცესის სწორ და ეფექტურ დანერგვას. კომპეტენციები, როგორც ჩანს, მათი პოზიციების შესაბამისია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o უნივერსიტეტის სტრუქტურა და კადრების დაკომპლექტება o ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი ფაილები o გასაუბრებები ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან
შეფასება ☒ შეესაბამება მოთხოვნებს ☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
რეკომენდაციები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

4.4 სასწავლო მასალა დაფუძნებულია მიმართულების/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი მიმოხილვა და ანალიზი

სასწავლო მასალა თანამედროვეა და დაფუძნებულია საერთაშორისო მკვლევარების/მეცნიერების პუბლიკაციებზე. სტუდენტებისათვის მასალებთან დაშვება განსაზღვრულია ბიბლიოთეკის მიერ - წიგნები და ელექტრონული ფონდი – აგრეთვე ინტერნეტ რესურსები. განახლებული თანამედროვე ლიტერატურა შეძენილია ინგლისურ ენაზე. ეს ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის ბიბლიოთეკაში. ხელმისაწვდომობა სამეცნიერო მონაცემთა ბაზებთან არ არის ნახსენები. ვებ-გვერდის სრული ინგლისური ვერსია არ არის ხელმისაწვდომი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების აღწერილობები
- წიგნები და ელექტრონული სახელმძღვანელოები შემოწმდა ბიბლიოთეკაში

შეფასება

☐ შეესაბამება მოთხოვნებს
☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს
☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

რეკომენდაციები:

- ვებ-გვერდზე უზრუნველყავით ხელმისაწვდომი სამეცნიერო მონაცემთა ბაზების ჩამონათვალი.
- უზრუნველყავით ვებ-გვერდის სრული ინგლისური ვერსია

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

4.5 არსებობს პროგრამის ფინანსური უზუნველყოფა
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ბიუჯეტი გათვალისწინებულია სეუ-ს საერთო ბიუჯეტში. ამ ბიუჯეტიდან შესაბამისი თანხებია გადანაწილებული საბაკალავრო ხარისხის პროგრამაზე. თანხები გამოყენებულ იქნება მატერიალურ-ტექნიკური რესურსების განახლებაზე, უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდის გამდიდრებაზე, ინტელექტუალური რესურსების მოძიებაზე, სტუდენტთა აკადემიური კონფერენციების ორგანიზებასა და ა.შ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სეუ-ს ბიუჯეტი o პროგრამის ფინანსური გეგმა o გასაუბრებები ვიზიტის მიდმინარეობისას.
შეფასება ☐ შეესაბამება მოთხოვნებს ☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს
რჩევები პროგრამის განვითარების :
რეკომენდაციები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

სტანდარტი	შეესაბამება მოთხოვნებს	ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სასწავლო რესურსების უზრუნველყოფა		X	

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

5.1 მოქმედებს და საჯაროს ხელმისაწვდომია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც ითვალისწინებს ,,დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" ციკლს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი მიმოხილვა და ანალიზი

შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების პროცედურა, რომელიც სისტემატიურად და განგრძობითად ახდენს მონიტორინგს და ავითარებს პროგრამის ხარისხს, მის შინაარსთან, პროცესებსა და შედეგებთან მიმართებაში. ის ითვალისწინებს უკუკავშირს სტუდენტებისაგან. პასუხისმგებლობები მკაფიოდაა განსაზღვრული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სეუ დებულება, მუხლი 13
- გასაუბრებები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან

შეფასება

- ☐ შეესაბამება მოთხოვნებს
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს
- ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

- რეგულარულად უზრუნველყავით სტუდენტები ინფორმაციით მათ უკუკავშირთან დაკავშირებით
- ჩართეთ სტუდენტები შესაბამის კომიტეტებში, რათა მონაწილეობა მიიღონ ხარისხის უზრუნველყოფისა და განვითარების პროცედურების დაგემგვასა და შეფასებაში.

რეკომენდაციები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

5.2 შიდა და გარე შეფასება გამოყენებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერილობითი შეფასება და ანალიზი შეფასება სტუდენტებისა და ფაკულტეტის მიერ ტარდება რეგულარულად და წინასწარგანსაზღვრული პროცედურის შესაბამისად; შედეგები უზრუნველყოფენ ხარისხის განვითარების პროცესს. ასევე გარე შეფასებაც ხორციელდება რეგულარულად და წინასწარგანსაზღვრული პროცედურის შესაბამისად; შედეგები უზრუნველყოფენ ხარისხის განვითარების პროცესს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o სეუ დებულება, მუხლი 13 o გასაუბრებები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან
შეფასება ▯ შეესაბამება მოთხოვნებს ☐ ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
რეკომენდაციები: არავითარი
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): არ მიესადაგება
მნიშვნელოვანი მიღწევები ან/და პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შეესაბამება მოთხოვნებს	ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	არ შეესაბამება მოთხოვნებს
სწავლების ხარისხის გაუმჯობესების შესაძლებლობები	X		

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელი: სეუ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელი: ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო (პირველი საფეხური)
ანგარიშში გვერდების რაოდენობა: 30

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შეესაბამება მოთხოვნებს	ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X		
2. სწავლების მეთოდოლოგიადა ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X		
4. სწავლების რესურსების უზრუნველყოფა		X	
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X		
საბოლოო შეფასება		X	

ექპერტთა პანელის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ჰაინს-ულრიხ შმიდტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელი: სეუ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელი: ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო (პირველი საფეხური)
ანგარიშში გვერდების რაოდენობა: 30

პროგრამის შესაბამისობა სტანდარტთან

სტანდარტი	შეესაბამება მოთხოვნებს	ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი. სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X		
4. სწავლების რესურსების უზრუნველყოფა		X	
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X		
საბოლოო შეფასება		X	

ექსპერტთა პანელის წევრის ხელმოწერა

პაველ ზუფანი

გიორგი გაგნიძე

თორნიკე გურული

ანა გვრიტიშვილი